

მშობლების მოლოდინები და ჩართულობა და მასწავლებლის
მოლოდინები, როგორც მოსწავლის აკადემიური წარმატების
პრედიქტორები.

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სტუდენტი: ნანო ტალახაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიანა ხუნდაყიშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

20.06.2022

აბსტრაქტი

მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს მოსწავლის აკადემიურ წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე. ამ ფაქტორებს შორისაა: მშობლების ჩართულობა, მასწავლებლების მოლოდინები, მშობლების მოლოდინები, მოსწავლის თვითშეფასება, საკუთარი ქვეყნის კულტურა და ა.შ. მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ორიენტირებულია მშობლებისა და მასწავლებლების მოლოდინებზე და იკვლევს შემდეგი პრედიქტორი ცვლადების გავლენას მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე: მშობლების (დედისა და მამის) მოლოდინები; მშობლების (დედისა და მამის) ჩართულობა; მათემატიკის მასწავლებლის მოლოდინები, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მოლოდინები. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 10-12 წლის 28 გოგონამ და 28 ბიჭმა, რომელთა პერსპექტივიდანაც შეფასდა მათ მიმართ მშობლებისა და მასწავლებლების მოლოდინები სწავლასთან დაკავშირებით. საკვლევ ინსტრუმენტს წარმოადგენდა მშობლისა და მასწავლებლების მოლოდინებისა და ჩართულობის კითხვარი. შედეგებმა აჩვენა, რომ მშობლებისა და მასწავლებლების მოლოდინები გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე. გარდა ამისა, საინტერესო საკითხი აღმოჩნდა საგნების მიხედვით სქესთან მიმართებით მშობლების მოლოდინების სხვაობა, კერძოდ კი, აღმოჩნდა, რომ მამებს უფრო მაღალი მოლოდინები აქვთ ბიჭების მიმართ მათემატიკის ქულებთან მიმართებაში, ვიდრე გოგონების მიმართ. შედეგების ანალიზის საფუძველზე, კვლევაში მოცემულია რეკომენდაციები მშობლებისთვის და მასწავლებლებისთვის რათა დაგეგმონ ისეთი ჩარევები, რომლებსაც შეუძლიათ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მშობლის მოლოდინები, მშობლის ჩართულობა, მასწავლებლის მოლოდინები, აკადემიური მიღწევა.

The scientific literature related to students' academic achievement identifies various factors that may affect a student's academic success or failure. These factors include: parental involvement, teacher expectations, parental expectations, student self-esteem, culture of their own country, etc. This master's thesis focuses on the expectations of parents and teachers and examines the impact of the following predictor variables on student academic achievement: parent (mother and father) expectations; Involvement of parents (mother and father); Mathematics teacher expectations, Georgian language and literature teacher expectations. The study involved 28 girls and 28 boys aged 10-12, from whose perspective, parents 'and teachers' expectations for learning were assessed. The research tool was a questionnaire of parent and teacher expectations and involvement. The results showed that the expectations of parents and teachers affect student achievement. In addition, an interesting issue was found to be the difference in parental expectations for subjects by gender, in particular, it was found that fathers have higher expectations for boys in terms of math scores than for girls. Based on the analysis of the results, the study provides recommendations for parents and teachers to plan interventions that can improve students' academic achievement.

Keywords: Parent Expectations, Parent Involvement, Teacher Expectations, Academic Achievement.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული შრომისა და დახმარებისთვის, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს დოქტორანტ მარიანა ხუნძაყიშვილს, რომელიც მუდმივად ჩართული იყო კვლევისა და ნაშრომის წერის პროცესში, მაძლევდა რჩევებს და რეკომენდაციებს და მეხმარებოდა ყველა სიძნელის დაძლევაში. მისი პროფესიული და ადამიანური დახმარების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის დასრულება.

ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ რესპოდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი ჩართულობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.